მარწყვის ნაყინი

გინახავს შინ დამზადებული ნაყინი? წაიკითხე რეცეპტი და გაიგებ, როგორ მზადდება ნაყინი სახლის პირობებში.

ნაყინი ყველას უყვარს: დიდსაც და პატარასაც. ცხელ დღეებში ის გვაგრილებს. მისი დამზადება არ არის ძნელი. არც დიდი დროა საჭირო, არც – ბევრი რამის ყიდვა. ამას შენ თვითონ ნახავ, თუ გაეცნობი რეცეპტს.

ნაყინის რეცეპტი

საჭირო მასალა:

ნაღები — 100 გრ;

კვერცხი — 5 ცალი;

შაქარი — 100 გრ;

მარწყვი — 100 გრ.

კვერცხის გული

შაქარი

მარწყვი

ათქვეფა

მომზადების წესი:

აიღე ორი ჯამი. გატეხე ხუთი კვერცხი. კვერცხის გული ერთ ჯამში მოათავსე, ცილა – მეორეში. ცილა არ არის საჭირო.

* ჯერ ათქვიფე კვერცხის გული და შაქარი.
* შემდეგ ცალკე ათქვიფე ნაღები.
* ეს ყველაფერი შეურიე ერთმანეთს.
* მერე დაუმატე მარწყვი.
* მიღებული მასა მოათავსე ჭიქაში და შედგი საყინულეში.
* აი, ნაყინიც მზადა არის!

ნაყინი

როგორ ფიქრობ, შეძლებ ამ რეცეპტით ნაყინის დამზადებას? მარწყვის ნაცვლად შენ რომელ ხილს გამოიყენებ და რატომ?

დონე: *A გარდამავალი,* **კომპონენტი:** *თანამიმდევრობა*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ნაყინის რეცეპტში ჯერ:

ა) აღნიშნულია, რატომ მოსწონს ნაყინი ყველას.

ბ) მითითებულია, როგორი ჭურჭელი გჭირდება.

გ) ჩამოთვლილია მასალა, რომელიც უნდა გამოიყენო.

2 მას შემდეგ, რაც ერთ ჯამში შეაგროვებ კვერცხის გულს, ჯერ:

ა) ათქვიფე იგი ნაღებთან ერთად.

ბ) ათქვიფე იგი შაქართან ერთად.

გ) შედგი იგი საყინულეში ორი საათით.

3 მარწყვი უნდა დაუმატო:

ა) ათქვეფილ კვერცხის გულსა და შაქარს.

ბ) მიღებულ ნარევს მაცივარში შედგმის წინ.

გ) ნაყინს მაცივრიდან გამოღების შემდეგ.

4 რა არის ყველაზე მთავარი რამ, რასაც ვიგებთ ამ ტექსტიდან?

ა) რატომ უყვარს ყველას ნაყინი.

ბ) როგორ უნდა მოვამზადოთ ნაყინი.

გ) რომელ ჭურჭელში მოვათავსოთ ნაყინი.

▶▶▶ ლექსიკა

1 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ნაღები — კვერცხის გულის გარშემო არსებული გამჭვირვალე მასა.
2. ცილა — რაიმეს გასაკეთებლად საჭირო მასალა და მომზადების წესი.
3. რეცეპტი — რძის ზედაპირზე მოდებული ცხიმი.

2 შეურჩიე სიტყვებს შინაარსის მიხედვით სწორი ფრაზები და დააკავშირე ხაზებით.

1. ნაყინი — ხუთი კვერცხი.
2. გატეხე — მარწყვი ან სხვა ხილი.
3. დაუმატე — მაცივრის საყინულეში.
4. შედგი — ყველას უყვარს.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) კვერცხი. ბ) ნაღები. გ) შაქარი. დ) ჯამი.

4 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

ა) მარტივი – ადვილი. ბ) ძნელი – რთული. გ) ცხელი – ცივი.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

1. ნაყინი ---------- უყვარს.

   ა) ყველა. ბ) ყველამ. გ) ყველას.

2. ყველაფერი შეურიე ---------- .

   ა) ერთმანეთი. ბ) ერთმანეთმა. გ) ერთმანეთს.

გრამატიკა

2 სწორად დაასრულე სიტყვები.

1. ჭიქა *მაცივარ...* შედგი.

2. მიღებული მასა *ჭიქა...* მოათავსე.

3 რომელია სწორი?

1. ა) ორი ჯამი. ბ) ორი ჯამები.
2. ა) ყველას უყვართ. ბ) ყველას უყვარს.
3. ა) მე დაუმატე. ბ) მე დავუმატე.

4 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: გრილი – აგრილებს.

1. რთული – ----------. 2. ცხელი – ----------.

წერა

1 ჩამოწერე ნაყინის მომზადების ნაბიჯები. გააფორმე ნაწერი ნახატებით.

ჯერ ----------

შემდეგ ----------

ბოლოს ----------

2 რომელია შენი საყვარელი საჭმელი? დაწერე მისი რეცეპტი. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატით.